№2

თებერვალი, 2023წ.

ბოლნისი

გამოდის 1935 წლიდან

ფასი: 1 ლარი

„ყარაბულახის“ სათავე ნაგებობის პროექტირება-მშენებლობა დაიწყო

გვ:2

ქვემო ქართლში ახალი რეგიონული არასასიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტი აშენდება

გვ:2

„ერთად ქვეყნის სიმშვიდის სადარაჯოზე“

გვ:6

„ყარაბულახის“ სათავე ნაგებობის პროექტირება-მშენებლობა დაიწყო

მიმდინარე წელს, ქალაქ ბოლნისის „ყარაბულახის“ სათავე ნაგებობის რეაბილიტაციისა და მიმდებარე სოფლების: ტანძია, იწრია, რატევანის წყალმომარაგების სისტემის პროექტირება-მშენებლობა დაიწყო. სამუშაოები ითვალისწინებს მაგისტრალური მილის რეაბილიტაციას, პოლიეთილენის მილების მოწყობას, რკინა-ბეტონის რეზერვუარის, სატუმბი სადგურისა და პროექტის ფარგლებში დაგეგმილი შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობას.

აღნიშნული სამუშაოები 2023 წლის ზაფხულის ბოლოს დასრულდება, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან 6 მილიონ ლარზე მეტით დაფინანსდება.

საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ინფორმაციით, პროექტის დასრულების შემდეგ, აღნიშნული სოფლები და ქალაქი, გაუმჯობესებული წყალმომარაგებით ისარგებლებს.

ქვემო ქართლში ახალი რეგიონული არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტი აშენდება

დავით შერაზადიშვილი „ქვემო ქართლის მყარი ნარჩენების მართვის პროექტის“ ფარგლებში, ევროპული სტანდარტების შესაბამისი, ახალი რეგიონული არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის მშენებლობის შესახებ სამუშაო შეხვედრას დაესწრო.

ქვემო ქართლის რწმუნებულის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრაზე, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის" დირექტორმა, გიორგი შუხოშვილმა, პროექტის მნიშვნელობაზე, უკვე განხორციელებულ სამუშაოებსა და პროექტის ფარგლებში დაგეგმილ შემდგომ ნაბიჯებზე ისაუბრა. შეხვედრას ქვემო ქართლის სახელმწიფო რწმუნებული გიორგი დოხტურიშვილი, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერი დავით შერაზადიშვილი, მარნეულის, თეთრიწყაროსა და წალკის მუნიციპალიტეტების ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

პროექტი ითვალისწინებს რეგიონის 5 მუნიციპალიტეტისთვის ბოლნისის, თეთრიწყაროს, მარნეულის, წალკისა და დმანისისთვის ახალი რეგიონული ევროსტანდარტების შესაბამის, არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის მშენებლობას და მის აღჭურვას ტექნიკური საშუალებებით. ნარჩენების განთავსების ახალი ობიექტის მოწყობის შედეგად, ადგილობრივ მოსახლეობას ადგილზე დასაქმების შესაძლებლობა მიეცემა. რეგიონში ეტაპობრივად დაიხურება არსებული ნაგავსაყრელები, რაც საერთო ჯამში გააუმჯობესებს მოსახლეობის საცხოვრებელ სანიტარულ-ჰიგიენურ პირობებს.

პროექტი ხორციელდება საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის მიერ, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) და შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს (SIDA) ფინანსური მხარდაჭერით.

ვაქცინაციის პოპულარიზაციის მიზნით, ბოლნისში საინფორმაციო შეხვედრების ციკლი დაიწყო

დაავადებათა ეროვნულმა ცენტრმა, შვედეთის მთავრობისა და გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერის ფარგლებში, ადგილობრივი საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის წარმომადგენლებთან ერთად დაბა კაზრეთის 2 საჯარო სკოლაში და ხანდაზმულთა დღის ცენტრში, ვაქცინის პოპულარიზაციის მიზნით, საინფორმაციო შეხვედრები გამართა.

დაავადებათა ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები სკოლის პედაგოგებს და მშობლებს შეხვდნენ, სადაც მთავარ საკითხად საშვილოსნოს ყელის კიბო და მისი გამომწვევი მიზეზი პაპილომა ვირუსი განიხილეს და დამსწრე საზოგადოებას ვრცელი და ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდეს ვირუსის პრევენციულ ღონისძიებაზე, რაც გულისხმობს, ვაქცინაციასა და რეგულარულ სკრინინგს, რომელიც სახელმწიფო პროგრამითაა გათვალისწინებული.

პროექტის ფარგლებში, საინფორმაციო შეხვედრა ხანდაზმულთა დღის ცენტრშიც გაიმართა, სადაც მაღალი რისკჯგუფის წარმომადგენლებს ვრცელი ინფორმაცია მიეწოდათ პნევმონიით გამოწვეულ ინფექციებზე და მის პრევენციულ ღონისძიებებზე, რომელიც პნევმოკოკის ვაქცინაციას გულისხმობს.

ვაქცინაციის პოპულარიზაციის მიზნით, საინფორმაციო შეხვედრები ბოლნისის მუნიციპალიტეტში ყველა დასახლებულ პუნქტში გაიმართება.

ლელა გელაძე საქართველოს ღირსეული მასწავლებლის სახელი მიენიჭა

ლელა გელაძე იმ პედაგოგების რიცხვს მიეკუთვნება, რომლებმაც სკოლის განვითარებაში და მომავალი თაობის აღზრდაში, განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს. როგორც თავად აღნიშნავს, „მასწავლებელი უნდა ფლობდეს როგორც სწავლების, ასევე აღზრდის მეთოდებს, მუდმივად უნდა ზრუნავდეს მოსწავლეთა როგორც შინაგანი, ასევე გარეგანი მოტივაციის ამაღლებაზე, მოსწავლეთა უნარების განვითარებასა და სხვადასხვა ორიგინალური საშინაო დავალების შერჩევაზე, რომელიც მოსწავლეს განუვითარებს როგორც შემოქმედებით, ასევე კრიტიკულ აზროვნებასაც“.

ლელა გელაძის პედაგოგიური გამოცდილება სამ ათეულ წელზე მეტს ითვლის. იგი დღემდე დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება დაკისრებულ მოვალეობას და მის სახელს, არაერთი სასკოლო პროექტი უკავშირდება. სწორედ ამის გათვალისწინებით, ქალბატონ ლელას, საქართველოს ღირსეული მასწავლებლის სახელი მიენიჭა.

-მასწავლებლობა ერთ-ერთი განსაკუთრებული პროფესიაა -საინტერესო და საპასუხისმგებლო, თქვენ როგორ ფიქრობთ?

-გეთანხმებით, მასწავლებლობა, მართლაც, განსაკუთრებული პროფესიაა,

„სკოლის მასწავლებელი ისეთ ძალაუფლებას ფლობს, რომელზედაც პრემიერ-მინისტრები მხოლოდ ოცნებობენ"(უინსტონ ჩერჩილი).

ვეთანხმები ჩერჩილის ამ სიტყვებს, ძალაუფლებაში, ჩემი აზრით, ის გულისხმობდა ცოდნას, რომელსაც ფლობს მასწავლებელი და უზიარებს მოსწავლეებს, მას არა აქვს შეცდომის დაშვების უფლება. აუცილებლად უნდა უყვარდეს თავისი საგანი და ცოდნასთან ერთად დადებით ემოციებს გადასცემდეს მოსწავლეებს.

მასწავლებლობა, ერთ-ერთი საპასუხისმგებლო პროფესიაცაა. ერთი მხრივ, სასიამოვნოა მოზარდებთან ურთიერთობა და ცოდნის გაზიარება, მეორე მხრივ კი-ვალდებულებაა დაეხმარო სწორი არჩევანის გაკეთებაში, ჩვენ მიერ დათესილი ცოდნის და მორალური ღირებულებების საფუძველზე ქვეყნის მომავალს განვსაზღვრავთ.

-როგორი უნდა იყოს კარგი მასწავლებელი?

-უპირველეს ყოვლისა, უნდა იყოს თავისი საქმის პროფესიონალი და უყვარდეს ბავშვები, იყოს ყურადღებიანი, სამართლიანი, მოწესრიგებული, შრომისმოყვარე. თავის საგანს აყვარებდეს მოსწავლეებს, იმსახურებდეს კოლეგებისა და მშობლების გულწრფელ პატივისცემას. ხშირად, სწორედ მასწავლებლის ადამიანურობა, მისი სწორი ღირებულებები იზიდავს მოსწავლეებს და აყვარებს საგანს.

-რა მეთოდებია საჭირო მოსწავლესთან მიმართებაში?

-მასწავლებელი უნდა ფლობდეს როგორც სწავლების, ასევე აღზრდის მეთოდებს. მუდმივად უნდა ზრუნავდეს მოსწავლეთა როგორც შინაგანი, ასევე გარეგანი მოტივაციის ამაღლებაზე, მოსწავლეთა სააზროვნო უნარების განვითარებასა და სხვადასხვა ორიგინალური საშინაო დავალების შერჩევაზე, რომელიც მოსწავლეს განუვითარებს, როგორც შემოქმედებით, ასევე კრიტიკულ აზროვნებასაც.

უახლოესმა ტექნოლოგიურმა გამოგონებებმა, მნიშვნელოვნად შეცვალა სწავლა-სწავლების მიდგომები. დღეს მნიშვნელოვანია გაკვეთილის დაგეგმვა მოსწავლის ინტერესებიდან გამომდინარე, სადაც თითოეული მოსწავლის შესაძლებლობა და საჭიროება იქნება გათვალისწინებული. დღევანდელი სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეზე და მათ მაქსიმალურ ჩართულობაზე საგაკვეთილო პროცესში. სწავლა-სწავლების უამრავი მეთოდი არსებობს, თუმცა მეთოდების ეფექტიანობა დამოკიდებულია იმაზე, რა დროს და როგორ გამოვიყენებთ მას. ძალიან მოსწონთ მოსწავლეებს პროექტებით სწავლების მეთოდი, ამისათვის მე ვიყენებ როგორც სასწავლო, ასევე სოციალურ პროექტს, კვლევას, დაკვირვებას, პრეზენტაციას, ხშირად ვატარებ ჩემ კოლეგა ქალბატონ ნესტან ბუცხრიკიძესთან ერთად საგნობრივ თემატურ ღონისძიებებს და ვთანამშრომლობთ არასამთავრობო გარემოს დაცვით ორგანიზაციებთან, რის შედეგადაც იცვლება მათი დამოკიდებულება გარემოში მიმდინარე პროცესების მიმართ. აქტიურად არიან ჩართული გარემოს მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების პროცესში.

-ხშირად დგახართ ახალი გამოწვევების წინაშე

-21-ე საუკუნეში, სამყაროში მიმდინარეობს გლობალური ცვლილებები და ჩვენ ვიმყოფებით ამ ცვლილებების ეპიცენტრში, რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი გვაყენებს ახალი გამოწვევების წინაშე, ამის კარგი მაგალითია მესამე თაობის სასწავლო გეგმა - მოსწავლეებს ეძლევათ შემოქმედებითი უნარების გამოხატვის თავისუფლება და ჩვენ შეიარაღებული უნდა ვიყონ ისეთი უნარებით, რომელიც დაეხმარება მოსწავლეს, არა მხოლოდ დაისწავლოს მასალა, არამედ შეძლოს მიღებული ცოდნის ტრანსფერი ცხოვრებაში. მასწავლებლის პროფესია მუდმივად განვითარებას მოითხოვს, 2008 წლიდან ბევრი ცვლილება მოხდა განათლების სისტემაში, რამაც მრავალი გამოწვევის წინაშე დაგვაყენა პედაგოგები. საჭიროდ ჩავთვალე გავმკლავებოდი ყოველ გამოწვევას და აქტიურად ჩავერთე მასწავლებელთა გადამზადების ტრენინგებში, სტატუსის ამაღლების მიზნით ჩავაბარე სასერთიფიკაციო გამოცდები. ერთ-ერთ სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენდა დისტანციური სწავლება, კოვიდ ეპიდემიის დროს, რამაც ჩემში ახალი უნარების განვითარებას შეუწყო ხელი, დიდი ძალისხმევა იყო საჭირო იმისათვის, რომ ეკრანს მიღმა მყოფი მოსწავლეებისათვის შემენარჩუნებინა მოტივაცია და სწავლის სურვილი.

-იმისთვის რომ იყო საყვარელი მასწავლებელი, რა ოქროს შუალედი უნდა დაიცვა?

-ოქროს შუალედის ამოცნობა მნიშვნელოვანი და საჭირო უნარია. უნდა იყო ობიექტური, გულწრფელი, გიყვარდეს მოსწავლე, თუმცა ეს არ უნდა გამორიცხავდეს, რომ შეახსენო მას შეასრულოს თავისი მოვალეობები, მან უნდა იგრძნოს შენს დამოკიდებულებაში ზრუნვა და მხარდაჭერა, რომ შენიშვნის მიზანი არის მხოლოდ პრევენცია და დაცვა მომავალი დისციპლინარული გადაცდომებისგან.

-როგორი დედა და მეგობარია ლელა მასწავლებელი?

-ასაკთან ერთად იცვლება დამოკიდებულება შვილებთან მიმართებაში, ვიყავი მომთხოვნი, მკაცრიც, ასევე თბილი, მოსიყვარულე, მეგობრული და რაც მნიშვნელოვანია ვარ ,,ხარაჩო"-საყრდენი, ნებისმიერ სიტუაციაში მათ იციან, რომ ჩემი იმედი შეიძლება ჰქონდეთ. როგორც მეგობარი-ვარ ერთგული, ობიექტური, მოსიყვარულე. ვფიქრობ, ამ შეკითხვაზე პასუხს ისინი უკეთ გასცემენ.

-თავიდან რომ დაგეწყოთ ისევ პროფესია პედაგოგს აირჩევდი?

-თავიდან მინდოდა მეცნიერების მიმართულებით განვვითარებულიყავი, ოღონდ, დაოჯახების მერე გავითვალისწინე ახლობლების რჩევა - სკოლაში ბიოლოგიის მასწავლებლად დამეწყო მუშაობა, მეც დავთანხმდი და ვფიქრობ, ეს სწორი გადაწყვეტილება იყო. დღემდე, ხშირად ვმოძღვრავ ხოლმე ჩემ მოსწავლეებს, განსაკუთრებით გოგონებს, პედაგოგობა აირჩიონ მომავალ პროფესიად.

-საყვარელი საქმე...

-საინტერესო საგნობრივი ღონისძიებების დაგეგმვა-ჩატარება.

-თქვენ რომ განათლების მინისტრი იყოთ, რა ცვლილებას შეიტანდით სასკოლო სწავლებაში?

-1. შევამცირებდი კლასებში მოსწავლეთა რაოდენობას.

2. მე-11, მე-12 კლასებში შემოვიღებდი დიფერენცირებულ სწავლებას.

3. მოვითხოვდი მთავრობისგან პედაგოგების საბაზისო ხელფასის სერიოზულ ზრდას, პრიორიტეტულს და მოთხოვნადს გავხდიდი ამ პროფესიას.

4. 60 წლის ასაკიდან ყველა პედაგოგს დავუნიშნავდი ღირსეულ პენსიას-(ხელფასის ოდენობით). ახალგაზრდა, ენერგიულ კადრებს მოვიზიდავდი სკოლებში.

5. გავაგრძელებდი სკოლების დაფინანსების ზრდას, აღვჭურავდი ტექნიკური საშუალებებით, რაც ხელს შეუწყობდა პედაგოგებს საინტერესო გაკვეთილებისა და პროექტების დაგეგმვა-განხორციელებაში.

მარინა გავაშელი

კითხვა მომავალ რესპონდენტს: „სიყვარული ვერტიკალურია, თანაც ბრუნვადი“

ერთმანეთის პატივისცემა, სიყვარული და მხარდაჭერა - ეს ადამიანური თვისებები ყველაზე მნიშვნელოვანია ჩვენი რესპონდენტისთვის. როგორც თავად ამბობს, მას საზოგადოება მიზანდასახულ და წარმატებულ ადამიანად იცნობს, რომელსაც გადატვირთული დღის რეჟიმის გამო, ყოველი წუთი გეგმის მიხედვით აქვს გაწერილი. მომავალი პროფესია ჯერ გადაწყვეტილი არ აქვს, თუმცა მანამდე, თითოეულ საგანს საფუძვლიანად ეუფლება. გარდა სასკოლო საგნებისა, სწავლობს რამდენიმე უცხო ენას, ცეკვავს როგორც ქართულ, ასევე ლათინო-ამერიკულ ცეკვებს, რაშიც არაერთი დიპლომი აქვს აღებული. მღერის გუნდში, ასრულებს მთავარ როლებს თეატრში, ჩართულია სხვადასხვა აქტივობებში, აღსანიშნავია ჩვენი გმირის წიგნთან მეგობრობა. პრიორიტეტები კი ოჯახი, განათლება და მეგობრები. გაგაცნობთ ჩვენი რუბრიკის სტუმარს, უნიჭიერეს 14 წლის მარიამ კორტავას, თუ რაზე ოცნებობს და სად ხედავს თავს, 10 წლის მერე

-მარიამ, ჩემს რუბრიკაში დაგასახელა ნუცა გობეჯიშვილმა, როგორ ფიქრობ, რატომ აგირჩია შენ? კითხვა დატოვა, სად და რა საქმით იქნები დაკავებული 10 წელიწადში.

-პირველ რიგში მადლობა თქვენ მოწვევისთვის, ძალიან გამიხარდა. ასევე მადლობა ნუცა მასწავლებელს, რომ წარმატებულ ადამიანად მიმიჩნია. რაც შეეხება მის დასმულ კითხვას, ათ წელიწადში, ჩემი ოცნებების მიხედვით, თავი ოქსფორდის უნივერსიტეტში წარმომიდგენია.

-ვინ არის მარიამ კორტავა, მოგვიყევი შენს შესახებ, თუ გაქვს გადაწყვეტილი მომავალი პროფესია...

- მარიამ კორტავა საზოგადოების თვალში მიზანდასახული და წარმატებულია, მასწავლებლების აზრით, ბეჯითი და მშრომელი, მეგობრების აზრით, პოზიტიური და მხიარული, მშობლებისთვის მოუცლელი ბავშვი, რომელიც სულ დაკავებულია, ბებიების თვალში მუდამ მშიერი, ძმებისთვის კი ტვინის ბურღი. ჩემი აზრით კი, რაცა ვარ ესა ვარ, ერთი ჩვეულებრივი გოგონა, რომელსაც უყვარს თავისი ცხოვრება და ცდილობს თითოეული დეტალით სიამოვნება მიიღოს.

ჯერჯერობით არ მაქვს გადაწყვეტილი მომავალი პროფესია, თუმცა, ვფიქრობ, უფრო ტექნიკურ მიმართულებას ავირჩევ. ამ ეტაპზე კი ძალიან ბევრ სფეროსთან მაქვს შეხება, ვცდილობ ყველანაირად განვვითარდე და გამოვცადო ჩემი თავი, რაც დამეხმარება საკუთარი პროფესიის პოვნაში.

-რომელი საგანი გიყვარს ყველაზე მეტად და თუ გყავს გამორჩეული პედაგოგი

- ვფიქრობ, ყველა საგნის ცოდნა ერთნაირად მნიშვნელოვანია და თითოეულ მათგანს დიდ დროს ვუთმობ, თუმცა ყველაზე მეტად, მათემატიკა მიყვარს. თითოეულ პედაგოგს საკუთარი წვლილი აქვს შეტანილი ჩემს აღზრდაში და ვაფასებ მათ, თუმცა გამორჩეულად მიყვარს მათემატიკის მასწავლებელი ხატია მღვდელაძე და ქართულის პედაგოგი - მზია რეხვიაშვილი.

-გარდა იმ უცხო ენებისა, რასაც სკოლაში სწავლობ, ასევე დადიხარ ფრანგული ენის კურსზე, ენების შესწავლაც ხომ არ არის შენს სამომავლო გეგმებში?

- ფრანგულის სწავლა და, ზოგადად, საფრანგეთში მოგზაურობა ყოველთვის იყო ჩემი ოცნება და დამოუკიდებლად ვცდილობდი ამ ენის შესწავლას, ამიტომ, როდესაც გავიგე, რომ ბოლნისის ზრდასრულთა განათლების ცენტრში ფრანგულის კურსები იწყებოდა, ძალიან გამიხარდა და მაშინვე დავრეგისტრირდი. სამწუხაროდ, კურსი უკვე დასრულდა, თუმცა ჩემი მიზანია, იქ მიღებული ცოდნა უფრო გავაღრმავო. ფრანგულის გარდა, ძალიან კარგად ვსაუბრობ ინგლისურად, რაც ინგლისურის მასწავლებლის, ნინო ნიგურიანის დამსახურებაა, ასევე ვსწავლობ რუსულს, მომავალში სიამოვნებით ვისწავლიდი სხვა ენებსაც.

თუ გაქვს თავისუფალი დრო და რას აკეთებ ამ დროს?

- მაქვს შედგენილი დღის გეგმა, რაც მეხმარება დროის მართვაში, არ მეკარგება უქმად არც ერთი წუთი, წიგნების კითხვასაც ვასწრებ და დასვენებისთვისაც მრჩება დრო.

-რა როლი აქვს ცეკვას შენს ცხოვრებაში და ამ სფეროში, რა წარმატებებს მიაღწიე?

- რაც შეეხება ცეკვას, როგორც ქართულ, ასევე ლათინო-ამერიკულ ცეკვებში მაქვს გამოცდილება. დროის უქონლობის გამო, მომიწია ლათინური ცეკვების მიტოვება, თუმცა ძალიან ხშირად ვიღებდით მონაწილეობას კონკურსებში, საიდანაც თითქმის ყოველთვის დიპლომებით და სიგელებით ვბრუნდებოდით. ამიტომ, ცეკვას ყოველთვის ექნება ჩემს გულში განსაკუთრებული ადგილი.

-გარდა ცეკვისა, არაერთ წრეზე დადიხარ, მოგვიყევი რომელ წრეებზე და რატომ?

- ვცდილობ ყველაფერში გამოვცადო თავი და დრო ნაყოფიერად გამოვიყენო. დავდივარ თეატრ "საზღაპრეთში", ასევე ვმღერი ბოლნისის კულტურის სახლთან არსებულ გუნდში, დავდივარ ქართულ ცეკვაზე "თამარიონში", ასევე ხატვაზეც. დავამთავრე ფორტეპიანოს შვიდი კლასი, დავდიოდი ჭადრაკზე, ლათინურ ცეკვებზე... სამწუხაროდ, ზოგიერთი მათგანის მიტოვება მომიწია, დროის ფაქტორის გამო.

რას ნიშნავს შენთვის წარმატება და რამდენად არის ეს დამოკიდებული ბედნიერ შემთხვევაზე?

- ცხოვრებაში წარმატება ჩემთვის ნიშნავს თვითრეალიზაციას, საკუთარი მიზნების მიღწევას და თუნდაც, მათ დასახვას. წარმატების მისაღწევად აუცილებელია ვისწავლოთ საკუთარ შეცდომებზე, მაქსიმალურად დავიხარჯოთ და არ შევუშინდეთ დაბრკოლებებს. იმისათვის, რომ გახდე წარმატებული, აუცილებელია დიდი შრომა, განათლების მიღება და ენერგიის დახარჯვა. არ შეიძლება მთელი ცხოვრება იყო იმის იმედზე, რომ ფერია ნათლია გამოგეცხადება და ყველა ოცნებას აგიხდენს.

-მიზნები, რა გიბიძგებს მიზნების შესრულებისკენ?

-ჩემი მიზანია, უმაღლესი განათლება მივიღო ევროპაში, რადგან ვფიქრობ, ეს ჩემთვის დიდი გამოწვევა იქნება და მაქსიმალურად გამოვავლენ შესაძლებლობებს. ვიცი, რომ საკმაოდ რთული იქნება ამხელა მიზნის მიღწევა, თუმცა ცხოვრებაში შეუძლებელი არაფერია, მთავარია მონდომება, ამიტომ არ დავზოგავ თავს და ვეცდები ვიბრძოლო ჩემი ოცნებების ასასრულებლად.

-რაზე ოცნებობს მარი?

- ჩემი ოცნებაა, ვიმოგზაურო სხვადასხვა ქვეყანაში, გავეცნო მათ კულტურას.

-რომ შეგეძლოს დაწერო ახალი კანონი, რომელიც ყველამ უნდა დაიცვას, რა იქნებოდა ის?

-დუმბაძის მარადისობის კანონის მიხედვით, სული ბევრად უფრო მძიმეა, ვიდრე ფიზიკური სხეული. "გააცოცხლეთ სიყვარული დედამიწაზე და მე აღვდგები კვლავ მკვდრეთით" - გვიანდერძა მან. ამიტომ დავაწესებდი ისეთ კანონს, რომელიც ადამიანებს აიძულებდა ერთმანეთის სიყვარულსა და მხარდაჭერას.

-რომელი უნარებით ხარ ყველაზე ამაყი?

- ყველაზე მეტად ვამაყობ იმ უნარით, რომ შემიძლია ყველაფრის ადვილად ათვისება, რაც ნამდვილად მეხმარება წარმატების მიღწევაში.

-რომელი ზღაპრის პერსონაჟი იქნებოდი?

- ბავშვობიდან ძალიან მიყვარს ,,ურჩხული და მზეთუნახავი" და ჩემს თავსაც ყოველთვის მის მთავარ პერსონაჟ, ბელს ვამსგავსებდი. ბელი არის ჩემსავით მეოცნებე, წიგნების მოყვარული და მიზანდასახული გოგონა, რომელიც ოპტიმისტია და ცდილობს ადამიანებში კარგი თვისებები დაინახოს.

-ყველაზე მნიშვნელოვანი რამ, რაც უნდა იცოდეს საზოგადოებამ?

-ერთმანეთის პატივისცემა, სიყვარული და მხარდაჭერა. ჩემი აზრით, ეს თვისებებია ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც თითოეულ ადამიანს უნდა გააჩნდეს.

-დაახასიათე საკუთარი თავი ერთი სიტყვით, ინიციატორი ადამიანი ხარ თუ მიმყოლი?

- პოზიტიური, ნამდვილად ინიციატორი ვარ, ძალიან მიყვარს ლიდერობა და ახალი იდეების მოფიქრება.

-საყვარელი პოეტი, მწერალი, ბოლო წიგნი, რომელიც წაიკითხე....

- საყვარელი პოეტია გალაკტიონ ტაბიძე, მწერალი კი - ქართველებიდან, რა თქმა უნდა, დუმბაძე, უცხოელებიდან კი აგათა კრისტი და ასევე ძალიან მიყვარს შარლოტა ბრონტე, ბოლოს წავიკითხე ნოდარ დუმბაძის "მე ვხედავ მზეს".

-მომიყევი მეგობრებზე, რა როლი აქვთ მათ შენს ცხოვრებაში, რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში ?

- ჩემი აზრით, ნამდვილი მეგობრის ყოლა ძალიან მნიშვნელოვანია, ვისაც გაუზიარებ შენს საიდუმლოებს, ფიქრებს, ვისაც ენდობი და ყოველთვის მხარს დაუჭერთ ერთმანეთს. ასევე, აუცილებელია საერთო ინტერესები და პოზიტიური დამოკიდებულება. რა თქმა უნდა, მეც მყავს მეგობრები, რომლებიც ძალიან მიყვარს და მათთვის ყოველთვის გამოვნახავ დროს. ვფიქრობ, ერთგულებაა ყველაზე მნიშვნელოვანი ნამდვილი მეგობრობისთვის.

-რჩევა მომავალი თაობებისთვის, რას ეტყოდი მათ?

- მომავალ თაობებს ვურჩევდი, მიიღონ განათლება, იკითხონ ბევრი პიროვნული განვითარებისთვის და ყველაფერი გააკეთონ საკუთარი ოცნებების ასასრულებლად.

-როგორ ქვეყანაში ისურვებდი ცხოვრებას?

-ვისურვებდი მშვიდობიან და ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყანაში ცხოვრებას, სადაც თითოეული ადამიანის ინტერესები და უსაფრთხოება პრიორიტეტია.

-დაგვისახელე მომავალი წარმატებული ადამიანი, ვის ხილვასაც ისურვებდი ჩვენს რუბრიკაში, დაუტოვე კითხვა.

- თქვენს რუბრიკაში ვისურვებდი ბოლნისის ნომერ პირველი საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებლის, ხატია მღვდელაძის ხილვას. ის არის ენერგიული, განათლებული და მოტივირებული მასწავლებელი. მას მოსწავლეებთან მეგობრული დამოკიდებულება აქვს და ამავდროულად, მომთხოვნიცაა. ის ნამდვილად წარმატებული ადამიანია, რომელიც ბოლნისმა აუცილებლად უნდა გაიცნოს. მას კი დავუტოვებ ასეთ სახალისო კითხვას: ,,რომელი თეორემით დაამტკიცებთ ამ "ქეშმარიტებას": ,,სიყვარული ვერტიკალურია და თან ბრუნვადი"?

ნონა ხუზმიაშვილი

შეუძლებელი არ ნიშნავს შეუძლებელს

„შეზღუდული შესაძლებლობები არ ნიშნავს, რომ არაფერი შეგიძლია, თუკი სურვილი და მიზანი გაქვს, ყველაფერს შეძლებ, შეუძლებელი არ ნიშნავს შეუძლებელს“, მთავარია სიყვარულით მიუდგე საქმეს და აუცილებლად ყველაფერი გამოგივა“ - ასე იწყებს გაზეთ „ბოლნისთან“ საუბარს 23 წლის ვანო ხმალაძე, რომელიც ეტლით მოსარგებლეა, თუმცა ბარიერები მან შრომისმოყვარეობით, აქტიურობითა და ადამიანებთან სიყვარულით დაძლია, სტერეოტიპები დაამსხვრია და დაუმტკიცა სხვებსაც და საკუთარ თავსაც, რომ მთავარი მონდომებაა, მეტიც, ვანო რამდენიმე წელია ინტეგრირებული თეატრის „აზდაკის ბაღის“ მსახიობია. იყო სირთულეებიც, გამოწვევებიც, თუმცა ძლიერი ბუნებიდან გამომდინარე, არ დანებდა. პირიქით, გაძლიერდა და მეტი მონდომებით ჩაერთო ახალ გამოწვევაში. მსახიობობაზე არასდროს უოცნებია, მარტყოფის მცირე საოჯახო ტიპის სახლში ცხოვრების დროს, მეგობრისგან გაიცნო ადამიანი, რომელმაც შესთავაზა ბედი თეატრში ეცადა და აქედან შეიცვალა და დაიწყო ახალი ცხოვრება, სიახლეების ძიება მისი თანმდევია. სოციალურ ქსელში, მისმა მხიარულმა ვიდეორგოლებმა, საზოგადოების სიყვარული მალევე დაიმსახურა, დედაც აიყოლია და დედა-შვილის მიერ, ინტერპრეტაციით შესრულებულ ქართულ თუ უცხოურ სიმღერებს, დღეს ყველა სიყვარულით ელოდება. ჩვენ გაგაცნობთ მიზანდასახულ, პოზიტიურ, შრომისმოყვარე ახალგაზრდას.

-ვინ არის ვანო ხმალაძე, რა უყვარს, როგორ ატარებს თავისუფალ დროს?

-მე ვარ ვანო ხმალაძე, 23 წლის და ვცხოვრობ ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა კაზრეთში. ვარ პოზიტიური და ვცდილობ, ყველაფერში პოზიტივი ვეძიო. მიყვარს მუსიკა და თავისუფალ დროს ვუსმენ.

- შენ შეძელი და დაამტკიცე, რომ შეზღუდული შესაძლებლობები არ არსებობს, ამ გზაზე გვიამბე.

-სულაც არ არის ადვილი სტერეოტიპებს და სტიგმებს გაუმკლავდე, ამას ძალიან დიდი ძალისხმევა და მონდომება სჭირდება, ვფიქრობ, გარკვეულწილად ჩემი მონდომებით, პოზიტიური განწყობით და აქტიურობით, სოციალური ქსელის საშუალებით, შევძელი საკუთარი თავი საზოგადოებისთვის ისეთი გამეცნო, როგორიც ვარ.

-როგორ მოხვდი „აზდაკის ბაღში“ და როგორი გარემო დაგხვდა?

-სიმართლე გითხრათ, არასდროს მიოცნებია მსახიობობაზე, ეს 2016 წელს მოხდა, ვცხოვრობდი მარტყოფის მცირე საოჯახო ტიპის სახლში, სადაც გავიცანი არაჩვეულებრივი ადამიანები. ჩემმა მეგობარმა გამაცნო მისი მეგობარი, რომელმაც დააარსა ინტეგრირებული თეატრი „აზდაკის ბაღი“ და შემომთავაზა, თუ სურვილი მექნებოდა, მეცადა მსახიობობა, რაზეც მაშინვე დავთანხმდი, რადგან ძალიან მიყვარს სიახლეები და არასდროს ვუშინდები გამოწვევებს. თეატრში ძალიან თბილი გარემო დამხვდა, შევიძინე არაჩვეულებრივი მეგობრები და თეატრი დღემდე ჩემი განუყოფელი ნაწილია.

-რამდენ სპექტაკლში გაქვს ნათამაშები, რომელი გიყვარს მეტად და რატომ?

-ნათამაშები მაქვს ხუთ სპექტაკლში და ერთ ტელესპექტაკლში, ესენია: „ბოშები“ - ბოშათა ბარონი (2016-17წწ); „საახალწლო აურზაური საზღაპრეთში“ - სანტა (2016-2019წწ); „კაცია-ადამიანი?!“ - მკითხავი (2017-2019წწ); მიუზიკლი „სამგროშიანი ოპერა“ - პიჩემი (2019წ); ტელესპექტაკლი „კლასგარეშე გაკვეთილი“ - გიორგი (2019წ); „შერეკილები“ - მთხრობელი (2022წ). ამ სპექტაკლებიდან „ბოშებს“ გამოვარჩევდი, რადგან ამით დაიწყო ჩემი თეატრალური მოღვაწეობა.

-მოყვარული მსახიობისთვის არ არის რთული ასე თამაში?

-მთავარია გინდოდეს და გსიამოვნებდეს ის საქმე, რასაც აკეთებ.

-როგორ ცხოვრობს ვანო ხმალაძე დღეს და რითია დაკავებული?

-ვარ აქტიური და ვცდილობ, ჩემი თემის წარმომადგენლებსაც დავანახო მეტი პოზიტივი.

-ხშირად იდება სოციალურ ქსელში თქვენი სახალისო ვიდეოები, რა იყო მიზეზი მსგავსი ვიდეოების გადაღების.

-ვინაიდან და რადგანაც, 2019 წელს ეპიდემიამ იმძლავრა, საზოგადოების დიდი ნაწილი მოსწყდა სოციუმს და სახლში ჩაიკეტა, გადავწყვიტე, დედაჩემთან ერთად დამეწყო სახალისო ვიდეოების გადაღება და ამით გამემხიარულებინა საზოგადოება, შემემსუბუქებინა მათთვის ის სტრესი, რომელიც გამოწვეული იყო პანდემიისგან. საზოგადოებისგან სულ დადებითი კომენტარები მოდიოდა და ჩვენ დღემდე ვაგრძელებთ ამას.

-როგორ ფიქრობ, შეუძლებელი არის რამე? რა არის მთავარი მიზნის მისაღწევად?

-თუკი ადამიანი მიზნისკენ ისწრაფვის და ამისთვის ყველაფერს აკეთებს, სიტყვა „შეზღუდული შესაძლებლობები“ მეასეხარისხოვანი ხდება.

-რა არის შენი მთავარი წარმატება?

-სცენაზე დგომა და სხვადასხვა თეატრის მსახიობებთან ერთად სპექტაკლში თამაში, ეს უკვე წარმატებაა.

-როგორი იყო საზოგადოების დამოკიდებულება ადრე და დღეს, რა სირთულეებს ხვდება ვანო ხმალაძე?

-ადრე საზოგადოების უმეტესობა ფიქრობდა, რომ შშმ პირს არაფერი შეეძლო, დღეს ეს მეტწილად შეცვლილია და საზოგადოებისგან მიმღებლობის და მიუღებლობის მაჩვენებელი პროცენტი 70-30-ზეა.

-ოჯახის როლი შენს ცხოვრებაში.

-როცა მარტყოფის ბავშვთა სახლიდან წამოვედი კაზრეთში და ამით თეატრს 100 კილომეტრით დავშორდი, რომ არა ოჯახის გვერდში დგომა, შეიძლებოდა, საზოგადოებისგან მოწყვეტილი ვყოფილიყავი,

-რა არის შენი მთავარი ოცნება, რას ნიშნავს მაყურებლის დადებითი ემოცია?

-ვოცნებობ, ისეთი ფინანსური მდგომარეობა მქონდეს, რომ საკუთარი თავი ვირჩინო, არ ვიყო სახელმწიფოს პენსიაზე და მშობლებზე დამოკიდებული, ვოცნებობ საკუთარი ოჯახი შევქმნა და ძალიან

ბევრი შვილი მყავდეს.

-რას ურჩევდით ადამიანს, ვინც ფიქრობს, რომ ვერ შეძლებს, არ გამოუვა.

-შეზღუდული შესაძლებლობები არ ნიშნავს, რომ არაფერი შეგიძლია, თუ სურვილი და მიზანი გაქვს, ყველაფერს შეძლებ.

მაგდა დევნოზაშვილი

გრიპის სეზონი და მიმდინარეობა საქართველოში

სეზონური გრიპი, გრიპის A და B ვირუსით გამოწვეული მწვავე ინფექციური დაავადებაა. იგი აინფიცირებს სასუნთქ სისტემას (ცხვირი, ყელი, ფილტვები). სეზონური გრიპის ვირუსი ყოველწლიურად ცირკულირებს მიმდინარე წლის მე-40-ე კვირიდან მომდევნო წლის მე-20ე კვირის ჩათვლით. გრიპი ადამიანიდან ადამიანზე გადაეცემა ხველით, ცემინებით, ვირუსით დაბინძურებულ საგნებთან ან ზედაპირებთან შეხებით.

გრიპი ხასიათდება როგორც მსუბუქი, ისე მძიმე მიმდინარეობით და შესაძლოა დასრულდეს ლეტალური გამოსავლითაც. უბრალო გაციებისგან განსხვავებით გრიპი მწვავედ იწება. მისთვის დამახასიათებელი სიმპტომებია: საერთო სისუსტე, ცხელება >38 0C , ხველა, ფარინგიტი (ყელის ტკივილი), ცხვირიდან გამონადენი, თავის ტკივილი, ტკივილი კუნთებში; იშვიათად დიარეა და/ან ღებინება.

გრიპმა შესაძლებელია გამოიწვიოს სიცოცხლისათვის საშიში გართულებები, განსაკუთრებით მაღალი რისკის ჯგუფებში. გრიპის გართულებებია:

• პნევმონია (ფილტვების ანთება) - ქოშინი, სუნთქვის გაძნელება, ჰიპოქსია, ციანოზი;

• დარღვევები ცენტრალური ნერვული სისტემის მხრივ (გონების დაკარგვა ან დაბინდვა, ძილიანობა, კრუნჩხვები, კუნთების მკვეთრი სისუსტე ან დამბლა).

• ორგანიზმის მკვეთრი გაუწყლოება (დეჰიდრატაცია);

• თანმხლები დაავადებების გართულება (მაგ:გულის შეგუბებითი უკმარისობა, ასთმა და დიაბეტი);

• ბავშვებში ყურის ინფექციები, სინუსიტები. ჩვილ ბავშვებს გრიპის დროს შესაძლოა განუვითარდეთ ფებრილური კრუნჩხვები, ცრუ კრუპის სინდრომი.

მაღალი რისკის ქვეშ იმყოფებიან:

ჩვილები და ადრეული ასაკის ბავშვები, განსაკუთრებით 2 წლამდე;

ორსულები და ხანდაზმულები 65 წელს ზევით;

ქრონიკული დაავადების მქონე პირები (ასთმა, ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადება, გულის შეგუბებითი უკმარისობა, დიაბეტი, ღვიძლისა და თირკმელების ქრონიკული დაავადებები და ა.შ).

გრიპისგან თავის დაცვის საუკეთესო საშუალებაა გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია!

სასურველია, ვაქცინაცია 6 თვეს გადაცილებულ ყველა ადამიანს ჩაუტარდეს. განსაკუთრებით პრიორიტეტული ჯგუფებია:

5 წლამდე (განსაკუთრებით – 2 წლამდე) ასაკის ბავშვები;

65 წელს გადაცილებულები;ორსულები;ქრონიკულად მოავადენი (ასთმა, ფილტვების, გულის, თირკმლის, ღვიძლის, ენდოკრინული სისტემის დაავადებები);

ნერვული სისტემის დარღვევათა მქონე პირები (ცერებრული დამბლა, ეპილეფსია, ინსულტი, გონებრივი უნარშეზრუდულობა, კუნთოვანი დისტროფია);

ადამიანები, რომლებსაც აღენიშნებათ ანემია, იმუნოდეფიციტი (შიდსი, კიბო), ჭარბი წონა (სხეულის მასის ინდექსი აღემატება 40-ს);

ჯანდაცვის მუშაკები, მათ შორის – ხანში შესულთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მომვლელები.

იმუნიტეტის ჩამოყალიბებას 2-3 კვირა სჭირდება, ამიტომ აცრა უნდა ჩაიტაროთ გრიპის სეზონის დაწყებამდე, საუკეთესო დროა ოქტომბერი და ნოემბრის დასაწყისი.

განსაკუთრებული სიფრთხილე გამოიჩინეთ ორსულებმა და ქრონიკული დაავადებების მქონე პირებმა - მოერიდეთ მასიური თავშეყრის ადგილებს! გრიპის სიმპტომების გამოჩენისთანავე მიმართეთ ექიმს!

როგორც ჯანმრთელებმა, ასევე გრიპით დაავადებულმა პირებმა, შეძლებისდაგვარად ხშირად დაიბანეთ ხელები საპნით და გამდინარე წყლით, რათა შემცირდეს ხელით ვირუსის გადატანის შესაძლებლობა; რაც შეიძლება ხშირად გაანიავეთ საცხოვრებელი ადგილი და დაალაგეთ სველი წესით;

დაავადებულთა თვითიზოლაცია: თუ გაქვთ მაღალი ტემპერატურა თავის, კუნთების, სახსრებისა და ყელის ტკივილით, დარჩით სახლში, მოერიდეთ ჯანმრთელ ადამიანებთან კონტაქტს;

ჩაიტარეთ სიმპტომური მკურნალობა - მიიღეთ სიცხის დამწევი საშუალებები (გარდა ასპირინისა), ტკივილდამაყუჩებლები და ა.შ.

იმ შემთხვევაში თუ გამოვლინდება ისეთი სიმპტომები, როგორიცაა - სუნთქვის გართულება, ქოშინი, ცხვირ-ტუჩის მიდამოს ციანოზი, მოვარდისფრო სისხლიანი ნახველი, ლეთარგია, ჩვილ ბავშვებში - ძუძუს წოვის შეუძლებლობა, გაუწყლოვება, ყიფლიბანდის დაძაბულობა - სასწრაფოდ მიმართეთ ექიმს! შესაძლოა თქვენ გესაჭიროებოდეთ ჰოსპიტალიზაცია და სპეციფიკური მკურნალობა!

დიახ, არსებობს გრიპის საწინააღმდეგო ანტივირუსული პრეპარატები, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნას გრიპის სამკურნალოდ. ანტივირუსული პრეპარატები უნდა მიიღოთ მხოლოდ ექიმის დანიშნულებით. გახსოვდეთ! თვითმკურნალობა ანტიბიოტიკებით თუ სხვა პრეპარატებით კატეგორიულად მიუღებელია!

როგორ მიმდინარეობს სეზონური გრიპი ბოლნისის მუნიციპალიტეტში?

2022-23 წლის გრიპის სეზონის დაწყებიდან მიმდინარე წლის მე-7 კვირის ჩათვლით ბოლნისის მუნიციპალიტეტში სეზონური გრიპით დაავადდა და სამედიცინო დაწესებულებას/სოფლის ექიმს მიმართა 2532 ადამიანმა, მათ შორის ჰოსპიტალიზაცია დასჭირდა 318 ადამიანს.

აიპ „ბოლნისის მუნიციპალიტეტის საზოგადეობრივი ჯანდაცვის ცენტრი

„ერთად ქვეყნის სიმშვიდის სადარაჯოზე“

„ბავშვობიდან მქონდა ოცნება სამხედრო გავმხდარიყავი. როდესაც ტერიტორიული რეზერვის შესახებ გავიგე, არც დავფიქრებულვარ, პირდაპირ წავედი, ჩავირიცხე და ვმსახურობ“. თამთა დალაქიშვილმა ბავშვობის ოცნება აიხდინა, ის სამხედრო მოსამსახურეების ოჯახში გაიზარდა და ზუსტად იცოდა, რაც უნდოდა. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ტერიტორიული რეზერვის პროგრამის გამოცხადებისთანავე, 204 ბატალიონში ჩაირიცხა და „კრწანისის“ ბაზაზე სამხედრო ფიცი, სხვა რეზერვისტებთან ერთად დადო.

ტერიტორიულ რეზერვში გაწვევა და ჩარიცხვა, ტერიტორიული პრინციპით ხდება. მიღება ნებაყოფლობითი და ანაზღაურებადია. რეზერვში ჩარიცხულ მოქალაქეებს უფორმდებათ ოთხწლიანი კონტრაქტი და უნარჩუნდებათ სამოქალაქო სამსახური.

ჩვენი გმირი ერთ წელზე მეტია მსახურობს ტერიტორიულ რეზერვში, ამასთანავე არის სტუდენტი და დასაქმებული, როგორც თავად ამბობს, ეს ყველაფერი ერთმანეთს ხელს არ უშლის.

„პარალელურად, გარდა იმისა, რომ შაბათ-კვირა მიწევს მხოლოდ ტერიტორიულ რეზერვში მისვლა, ვსწავლობ სამართლის ფაკულტეტზე. ამასთანავე ვმუშაობ და ჩემი ცხოვრების სტილიც მაქვს, როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო სამსახური, ძალიან თავსებადია და ერთმანეთს ხელს არ უშლის“.

სტუდენტებს, სარეზერვო სამსახურის ერთი კონტრაქტის დასრულების შემდეგ, სამხედრო სავალდებულო სამსახური გავლილად ჩაეთვლებათ, ისინი რეზერვში სამსახურის დროს იძენენ რეალურ საბრძოლო უნარებს.

სარეზერვო სამსახურში ქვემო ქართლის ბატალიონში ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის 4 თანამშრომელი მსახურობს.

ეროვნული გვარდიის მე-20 ბრიგადის 204 ბატალიონის პირველი ასეულის პირველი ოცეულის მეთაური, ლეიტენანტი კონსტანტინე კორძაძე:

„ კარგი იქნება, თუ კიდევ შემოგვიერთდებიან ჩვენი კოლეგები რომ მუნიციპალიტეტისთვის ვიყოთ მაგალითის მიმცემები. მოვუწოდებ ყველას, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, ამ ქვეყნის შვილებს და საქართველოს გულშემატკივრებს, ქალი იქნება თუ კაცი, ყველამ გაიაროს გადამზადება. რაც მეტი ტერიტორიული რეზერვისტი ეყოლება საქართველოს, მით უფრო ძლიერი იქნება ერი. ეს არის ერთადერთი ინსტიტუცია, რომელსაც შესწევს უნარი, პოლიტიკური და სხვა პროცესებისგან დაზიანებული, თუ დახლეჩილი ერი გაამთლიანოს, იმიტომ, რომ რეზერვში ჩარიცხულ მოქალაქეებს ყველას აქვს ის საერთო მოწოდება და მისწრაფება, რასაც საქართველოს თავდაცვა ჰქვია“.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, რეზერვში მიიღებიან საქართველოს მოქალაქეობის მქონე 18- დან 51 წლამდე პირები, მათ შორის სტუდენტები 18- დან 22 წლის ჩათვლით. მიღებისას რეზერვისტს ოთხწლიანი კონტრაქტი უფორმდება. მათი ანაზღაურება ყოველთვიურად წოდებრივი სარგოს 20% შეადგენს, ხოლო ქვედანაყოფში ყოფნისას ხელფასს სრულად იღებენ. რეზერვში ჩარიცხული რეზერვისტის მინიმალური წლიური ანაზღაურება 4 218 ლარია. რეზერვისტების საბრძოლო მომზადება წლის განმავლობაში 45 დღემდე პერიოდს მოიცავს, რომელიც 12 თვეზე თანაბრად ნაწილდება. შეკრებაზე გამოცხადების თარიღები წინასწარ არის ცნობილი.

საქართველოს ეროვნული გვარდიის მეოცე ტერიტორიული თავდაცვის ბრიგადის 204-ე ტერიტორიული თავდაცვის ბატალიონის ვიცე-პოლკოვნიკმა, მირზა ბეჟანიძემ ბოლნისში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ტერიტორიული რეზერვის შესახებ, საინფორმაციო შეხვედრა გამართა, სადაც რეზერვის მნიშვნელობაზე ისაუბრა და პროექტის შესახებ საზოგადოებას დეტალური ინფორმაცია მიაწოდა.

„ტერიტორიული რეზერვი 2018 წლიდან დაიწყო და საქართველოს ბევრ ქალაქში, ჯერ კიდევ არ აქვთ გააზრებული რას მოიცავს ეს პროექტი. აიგივებენ ძველ საბჭოურ რეზერვთან და ეს ძალიან აცდენილია რეალობას. ტერიტორიულ რეზერვში მოქალაქეები იძენენ გამოცდილებას, იმ უნარ-ჩვევებს, რაც მათ სჭირდებათ კრიზისულ თუ საგანგებო ვითარების შემთხვევაში. რეზერვში გავლილი პირი, თუნდაც პირველი კონტრაქტის შემდეგ, იქნება უკეთ მომზადებული თავისი ოჯახის, რეგიონის და ქვეყნის დაცვისთვის.

ასევე კრიზისულ ვითარებაში შეეძლებათ სამედიცინო დახმარების აღმოჩენა. რეგიონში მომხდარ კრიზისებზე იმოქმედებენ შესაბამის გუნდთან ერთად. იქნებიან კარგად მომზადებული, ასევე უსაფრთხოების საკითხებში. ქვეყნის სადარაჯოზე თუ დასჭირდათ, იმასაც გაართმევენ თავს“.

თავდაცვის ძალების ეროვნული გვარდიის ტერიტორიული რეზერვის პროგრამა ტერიტორიული, ანაზღაურებადი რეზერვის სამხედრო ვალდებულების მოხდის ნებაყოფლობით ფორმას წარმოადგენს და ქვეყნის თავდაცვაში მოქალაქეების ჩართულობას უზრუნველყოფს.

საქართველოს ეროვნული გვარდიის მეოცე ტერიტორიული თავდაცვის ბრიგადის 204-ე ტერიტორიული თავდაცვის ბატალიონის ვიცე-პოლკოვნიკი მირზა ბეჟანიძე:

„რეზერვისტებში გვყავს ბოლნისის წარმომადგენლები, მათ შორის არის ქალბატონი, რომელიც ტოლს არ უდებს არც ერთ მამაკაცს. არიან მერიისა და საკრებულოს თანამშრომლები, მათი შემართება, წლოვანებიდან გამომდინარე, არ ჩამოუვარდება ახალგაზრდა ბიჭების შემართებას და მიდგომას“.

თამთა დალაქიშვილი, რეზერვისტი:

უკვე ჩავაბარეთ ნორმატივები. გოგოებმა ბიჭებსაც კი ვაჯობეთ. ქალები ნაკლები ვართ, თუმცა მოთხოვნა გაიზარდა, ნელ-ნელა ვიზრდებით. იქ ქალი და კაცი არ განსხვავდება, ვართ ერთი დიდი ოჯახი, რასაც აკეთებს მამაკაცი, იგივეს ჩვენ. თავს არ ვზოგავთ.

კურსის მთავარი მიზანია, საველე შეკრებებზე რეალური საბრძოლო უნარების შესწავლა. ტერიტორიული რეზერვის გავლის პერიოდში, მოქალაქეები უზრუნველყოფილნი არიან სოციალური და სამართლებრივი დაცვით, ასევე ინდივიდუალური სამედიცინო დაზღვევით. რეზერვში მიღება ხორციელდება რეგისტრაციისა და სამხედრო სამედიცინო შემოწმების გავლის საფუძველზე.

ნონა ხუზმიაშვილი

Davit Şrazadişvili "Kvemo Kartli bərk məişət tullantılarının idarə olunması layihəsi" çərçivəsində Avropa standartlarına uyğun yeni regional qeyri-təhlükəli tullantıların utilizasiyası obyektinin tikintisi üzrə işçi iclasda iştirak edib

Kvemo Kartlinin Qubernator administrasiyasında keçirilən görüşdə Gürcüstanın Regional İnkişaf və İnfrastruktur Nazirliyinin "Gürcüstan Bərk Tullantıların İdarə Edilməsi Şirkəti" MMC-nin direktoru Giorgi Şuxoşvili layihənin əhəmiyyətindən, artıq həyata keçirilən işlərdən və layihə çərçivəsində planlaşdırılan növbəti addımlardan danışıb. Görüşdə Kvemo Kartlinin Qubernatoru Giorgi Doxturişvili, Bolnisi Bələdiyyəsinin meri Davit Şerazadişvili, Marneuli, Tetritskaro və Tsalki bələdiyyələrinin yerli özünüidarəetmə orqanlarının nümayəndələri iştirak ediblər. Layihə regionun 5 bələdiyyəsi: Bolnisi, Tetritskaro, Marneuli, Tsalka və Dmanis üçün yeni regional Avropa standartlarına uyğun olaraq təhlükəli olmayan tullantıların utilizasiyası obyektinin tikintisini və texniki vasitələrlə təchiz edilməsini nəzərdə tutur. Yeni tullantıların utilizasiyası müəssisəsinin yaradılması nəticəsində yerli əhaliyə yeni iş yeri tapmaq imkanı yaradılacaq. Rayonda mövcud zibilxanalar mərhələli şəkildə bağlanacaq ki, bu da ümumilikdə əhalinin sanitar-gigiyenik həyat şəraitini yaxşılaşdıracaq. Layihə Avropa Yenidənqurma və İnkişaf Bankı (AYİB) və İsveç Beynəlxalq İnkişaf Əməkdaşlıq Agentliyinin (SIDA) maliyyə dəstəyi ilə Gürcüstanın Bərk Məişət Tullantılarının İdarə Edilməsi Şirkəti tərəfindən həyata keçirilir.

Ərazi ehtiyatı ilə bağlı məlumatlandırma toplantısı keçirilib

Bu gün Bolnisi bələdiyyə meriasının zalında Bolnisi bələdiyyəsinin meri Davit Şerazadişvili, Sakrebulo sədri Tamaz Jorjoliani, merin müavini, digər yerli hökumət nümayəndələri və vətəndaşların iştirakı ilə Gürcüstan Müdafiə Nazirliyinin ərazi ehtiyatı haqqında məlumat yığıncağı keçirilib. Gürcüstan Milli Qvardiyasının 20-ci Ərazi Müdafiə Briqadasının 204-cü Ərazi Müdafiə Batalyonunun polkovnik müavini Mirzə Bejanidze ehtiyatın əhəmiyyətindən danışıb, layihə barədə ictimaiyyətə ətraflı məlumat verib. Ehtiyat hərbi xidmətə 18-51 yaş arası, o cümlədən 18-22 yaşlı tələbələr Gürcüstan vətəndaşlığı olan şəxslər qəbul ediləcək. Qəbul edildikdən sonra ehtiyatda olan hərbçi ilə dörd illik müqavilə imzalanır. Onların döyüş hazırlığı il ərzində 45 günə qədər olan dövrü əhatə edir ki, bu da 12 ay ərzində bərabər paylanır. Qeyd edək ki, bolnisililər artıq hazırlıq kursunu keçirlər. Kursun əsas məqsədi səhra görüşlərində həqiqi döyüş bacarıqlarını öyrənməkdir. Ərazi ehtiyatı dövründə vətəndaşlar sosial-hüquqi müdafiə, habelə fərdi tibbi sığorta ilə təmin olunurlar. Ehtiyata qəbul qeydiyyat və hərbi tibbi müayinə əsasında həyata keçirilir.

Sosial yardımın verilməsi qaydalarında dəyişiklik edilib

2023-cü ildə Bolnisi bələdiyyəsinin sosial və səhiyyə xidmətində müəyyən edilmiş prioritetlər üçün "Sosial yardımın verilməsi və alınması qaydaları"nda aşağıdakı dəyişikliklər edilib, Xüsusilə: 1. Maddə 1. Xroniki xəstəliklərdən əziyyət çəkən (ümumbəşəri səhiyyə, göndəriş proqramları və digər sığortalar hesabına tam və ya maliyyələşdirilməyən) benefisiarların dərman vasitələri ilə təminatı proqramına şizotipal pozğunluğu olan benefisiarlar üçün müvafiq dərmanların verilməsi "f" yarımbəndi əlavə edilmişdir. 2. Maddə 7. Mənzilin kirayə haqqı ilə verilməsi. Mənzilin kirayə haqqı hər ay 200 (iki yüz) laridən çox olmayan məbləğdə ödənilir: a) sosial cəhətdən həssas evsizlər - daimi, müəyyən edilmiş yaşayış yeri olmayan, reytinq balı 120.000-dən çox olmayan və 16 yaşına çatmamış üzvü olan ailələr istisna olmaqla, qeyd olunan bal ötən və cari illərdə verilmiş ailələrdir. b) "Qadınlara qarşı zorakılığın və/və ya ailədə zorakılığın qarşısının alınması, zorakılıq qurbanlarının müdafiəsi və onlara yardım haqqında" Gürcüstan Qanununa uyğun olaraq müəyyən edilmiş qurbanlar. 3. Maddə 10. Tibbi sığorta proqramının birinci bəndinin "b" yarımbəndi (universal səhiyyə, göndəriş proqramları və digər sığortalar hesabına tam və ya maliyyələşdirilməyən) aşağıdakı kimi müəyyən edilib: diaqnostik müalicə üçün bədxassəli olmayan şişlər 1000 (min) lari, bədxassəli şişlər zamanı isə 3000 (üç min) lari məbləğində. Proqramın beşinci bəndinə əsasən - qalxanabənzər vəzindən əziyyət çəkən benefisiarların stasionar və ambulator müalicəsi üçün müəyyən edilmiş məbləğ - 2000 lari dəyişdirilərək 3000 lari məbləğində müəyyən edilib. 4. Maddə 10. Tibbi təminat proqramının 9 1-ci bəndində autizm spektrli uşaqların reabilitasiyası/haabilitasiyası (ümumbəşəri səhiyyə, göndəriş proqramları və digər sığortalar hesabına tam və ya maliyyələşdirilməyən) il ərzində müəyyən edilmiş məbləğ. - 5000 lari dəyişdirilib və 7000 lari müəyyən edilib. 5. 1. Aylıq təqaüd alan tələbələr eyni semestrin aktiv statusu ilə iki dəfə maliyyələşdirilə bilməz. 2. Tələbə ali təhsil müəssisəsində oxuduğu müddətdə başqa təhsil müəssisəsinə və ya fakültəyə köçübsə, yaxud onun tələbə statusu dayandırılıbsa, bu hal ali təhsil müəssisəsinin təqdim etdiyi arayışda göstərilməlidir. 5. Maddə 10. Bolnisi bələdiyyəsinin ərazisində qeydiyyatda olan vətəndaşların (ailələrin) tibbi sığorta proqramına (universal səhiyyə, göndəriş proqramları və digər sığortalar hesabına tam və ya maliyyələşdirilməyən) 10-cu maddə əlavə edilmişdir. bu qayda ilə müəyyən edilmiş şərtlərlə müraciət olunmağa iddialı olanlar müddət ərzində Sosial Xidmətlər Agentliyinin Yoxsulluğun Azaldılması üzrə Dövlət Proqramının vahid məlumat bazasında qeydiyyata alınmayanlar və/ ya qeydiyyatdan keçmiş və reytinq balı verilməmiş, müraciət etdiyi müddətdə sağlamlıq vəziyyəti ağırdır və buraxılış qaydalarına uyğun olaraq müəyyən edilmiş kateqoriyalardan heç birinə aidiyyatı yoxdur, maliyyələşməyə və ya birgə maliyyələşdirməyə ehtiyacı olduqda tibbi xidmətlərdən, Həmçinin, müraciətə baxılması mərhələsi üçün qayda ilə müəyyən edilmiş məhdudiyyətlərə məruz qalan (məsələn, proqram tərəfindən göstərilən yardımdan istifadə etmiş) vətəndaşların müraciətinə sosial vəziyyətin öyrənilməsi Bolnisi bələdiyyəsinin meri tərəfindən yaradılmışd işçi qrup tərəfindən baxılacaq.

Bələdiyyə merinin müvafiq inzibati ərazi dairəsi üzrə nümayəndəsinin vəsatəti və əhalinin sosial vəziyyətini öyrənən işçi qrupunun rəyi əsasında bu bənddə istisna olaraq göstərilən şəxsə müəyyən edilmiş məbləğdə yardım göstərilə bilər. təqvim ilində 5 000 (beş min) laridən çox olmayan (onlardan müalicə üçün - 1 000 (min) lari məbləğində). Ailələrin qeyd olunan qərarda nəzərdə tutulmayan və yuxarıda qeyd olunan ailələrin sosial-iqtisadi vəziyyətinin yaxşılaşdırılması üçün zəruri olan ehtiyaclarının həlli əsasında müəyyən edilmiş tədbirlər planına əsasən. Uşaq və ailə sosial işçisinin qiymətləndirmə sənədinin fənlərarası baxışı əsasında qərar qəbul edilməsi məqsədi ilə təqdim edilmiş fəaliyyət planına baxılması uşaq və ailənin qiymətləndirilməsi sənədinə baxış/yardım komissiyası tərəfindən həyata keçirilməlidir və pul məbləği verilməli, hər bir hal üçün 2500 laridən çox olmayan məbləğ müəyyən edilmişdir. 2. Maddə 16. Tək valideynin aylıq maddi təminatı. - tək valideynə ayda 70 lari verilməsini nəzərdə tutur.

სიახლეები

არემჯი

RICH METALS GROUP

ქართველი პიანისტის, სანდრო გეგეჭკორის სოლო კონცერტმა ანშლაგით ჩაიარა

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში, ქართველი პიანისტის, სანდრო გეგეჭკორის სოლო კონცერტი გაიმართა.

ახალგაზრდა პიანისტის, საფორტეპიანო მუსიკის საღამო, ქართველ პიანისტს მანანა დოიჯაშვილის ხსოვნას მიეძღვნა. საღამოზე სახელწოდებით "The King of Song", მსმენელებმა ფრანც შუბერტის საფორტეპიანო შემოქმედებით ისიამოვნეს.

სანდრო გეგეჭკორი, ქართული საფორტეპიანო სკოლის ახალი თაობის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელია, როგორც სამშობლოში, ისე მის ფარგლებ გარეთ. მან მცირე ასაკში მიაღწია საერთაშორისო წარმატებას და თავი დაიმკვიდრა კლასიკური მუსიკის მსოფლიო არენაზე. სანდრო არაერთი საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებულია.

2022 წლის დასაწყისში პიანისტი „საერთაშორისო მუსიკალური კონკურსების მსოფლიო ფედერაციის" (WFIMC, ჟენევა) არტისტი გახდა.

იგი სისტემატიურად თანამშრომლობს მსოფლიოს სხვადასხვა წამყვან ორკესტრთან და მუდმივად მართავს კონცერტებს საერთაშორისო მასშტაბით ისეთ პრესტიჟულ დარბაზებში, როგორებიცაა: The Royal Concertgebouw, Palau De La Musica, L'auditori, Mozarthaus Vienna და ა. შ.

2022 წელს არემჯი ახალგაზრდა, წარმატებული პიანისტის, სანდრო გეგეჭკორის მხარდამჭერი გახდა. კომპანია მომავალშიც გააგრძელებს წარმატებული, ხელოვანი, შემოქმედი ახალგაზრდების ხელშეწყობას.

ქართველი ძიუდოისტების გამარჯვება

ჩვენი ქართველი ძიუდოისტებისთვის 2023 წელი ძალიან წარმატებული აღმოჩნდა. საფრანგეთის დედა-ქალაქში, 4-5 თებერვალს, 2023 წლის გრანდ სლემი გაიმართა, სადაც ოლიმპიურმა ჩემპიონმა ლაშა შავდათუაშვილმა 73 კგ. წონით კატეგორიაში ოქროს მედალი მოიპოვა. ქართველმა ფალავანმა ფინალში ბრაზილიელი მეტოქე დაამარცხა და ამ გამარჯვებით მეორედ გახდა ჩემპიონი.

18-20 თებერვალს გამართულ თელ ავივის გრანდ სლემიდანაც ჩვენი ორი ქართველი ძიუდოისტი გამარჯვებული დაბრუნდა. ვაჟა მარგველაშვილმა, ისრაელში, შლომო არენაზე გამართულ შეჯიბრში 66 კგ. წონით კატეგორიაში ასპარეზობით ღირსეული გამარჯვება მოიპოვა. მან ფინალში აზერბაიჯანელი მეტოქე დაამარცხა და საქართველოს ნაკრებს ოქროს მედალი მოუტანა.

ძიუდოისტი ბექა ღვინიაშვილიც თელ ავივის გრანდ სლემის ჩემპიონია. მოასპარეზე სპორტსმენმა ფინალურ შეხვედრაში 90 კგ. წონით კატეგორიაში უნგრელი კრისტიან ტოთი იპონით დაამარცხა და ოქროს მედალი მოიპოვა.

2019 წლიდან არემჯი ძიუდოში ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონების ლაშა შავდათუაშვილის, ვაჟა მარგველაშვილისა და ბექა ღვინიაშვილის მხარდამჭერია.

ლუიზა გვარაძე

კომპანია არემჯის, გამამდიდრებელი ფაბრიკის ფლოტატორი

„ცხოვრება მივუძღვენი ჩემ პროფესიას, რომელიც ძალიან მიყვარს. ამ სფეროს იქით ვერ წარმომიდგენია ჩემი თავი და მეამაყება, რომ ვარ სამთოელი" - თავდაჯერებულობა, შრომისმოყვარეობა და პასუხისმგებლობა, ეს ის თვისებებია, რაც ლუიზა გვარაძეს საქმის საუკეთესოდ კეთებაში ეხმარება. როგორც თავად ამბობს, შრომისადმი სიყვარული და პატივისცემა მშობლებისგან შეისწავლა.

8 კლასის დამთავრების შემდეგ სწავლა კაზრეთის №225-ე პროფესიულ ტექნიკუმში, ფართე პროფილის გამამდიდრებლის პოზიციაზე გააგრძელა. 18 წლის ასაკში, სასწავლებლის დასრულების შემდეგ, მუშაობა საწარმოში გამამდიდრებელი ფაბრიკის მთავარ კორპუსში, ფლოტატორად დაიწყო მუშაობა. მას შემდეგ 45 წელია ერთგულად ემსახურება მისთვის საყვარელ საქმეს.

„ძალიან ბევრი რამ გამოვიარეთ 45 წლის განმავლობაში. ამ პერიოდში კომპანიაში არაერთი ცვლილება განხორციელდა და ბევრი რამ გადახალისდა. შეიცვალა და გაუმჯობესდა ტექნოლოგიები, შეხედულებები საქმის მიმართ, დაიხვეწა მუშაობის პრინციპები რაც ყველა სფეროზე აისახა. ფლოტატორის პროფესია ძალიან საინტერესო და საპასუხისმგებლოა. ახალგაზრდებს, ვინც ახლა ფიქრობს აირჩიოს და შეისწავლოს ფლოტატორის პროფესია, ვურჩევ უყვარდეთ თავიანთი საქმე, იყვნენ თავდაჯერებულები და პასუხისმგებლიანები."

სარედაქციო კოლეგია

მთავარი რედაქტორი: მაგდა დევნოზაშვილი

მთავარი რედაქტორის მოადგილე: ბელა ონიანი, ტექნიკური რედაქტორი: ხატია ფოცხვერაშვილი, ჟურნალისტები: ნონა ხუზმიაშვილი, მარინა გავაშელი.

სტილისტი: ლილი უგრეხელიძე, კომპიუტერის ოპერატორი: ნანული მუშკუდიანი, ფინანსური მენეჯერი: ლენა გოგოლაძე.